



ლოგოტიპის გამოყენების გრაფიკული  
სახელმძღვანელო

რეჯიონალური ბრენდი ჩვენს სვანეთის რეგიონალური ბრენდი  
"შეხვედეთ მთის კოლხეთში"

შესავალი	3
სამარკო ნიშანი/ლოგო	5
სამარკო ნიშანი > გამოყენება	6
სამარკო ნიშანი > უსაფრთხო ზონა და მინიმალური ზომა	7
სამარკო ნიშანი > ფერები	8
სამარკო ნიშანი > ფერების ვარიანტები	9
სამარკო ნიშანი > ფერადი ფონები	10
სამარკო ნიშანი > ფერადი ფონები	11
სამარკო ნიშანი > აკრძალვები	12
სამარკო ნიშანი > ფარი	13
სამარკო ნიშანი > ფარი > ზომა	14
წყლის ნიშანი	
წყლის ნიშანი > განმარტება და მინიმალური ზომა	15
წყლის ნიშანი > დასაშვები ჭრა	16
წყლის ნიშანი > ფერი	17
ფონტი	
ფონტი > ძირითადი ფონტი	18
ფონტი > დამატებითი ფონტები	19
დამატებითი მოთხოვნები	
დამატება > შტამპის ბეჭდვა	20
დამატება > სავიზიტო ბარათებს ბეჭდვა	21
დამატება > ბლანკზე ბეჭდვა	22
დამატება > ფორმატები > ფორმატი	23
დამატება > ფორმატები > რეზოლუცია	24
დამატება > გამოყენების ვალდებულება	25
დამატება > უცხოენოვანი წარწერები	26
კოლოფონი	27

## წინასიტყვაობა

რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის რეგიონალური ბრენდის-„შევხვედეთ მთის კოლხეთში“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღება ჩვენთვის დიდი გამოცდილების მომტანი იყო.გამარჯვებამ კი საკმაოდ დადებითი როლი ითამაშა ამ სფეროში ჩვენს სამომავლო გეგმებზე.მიზეზი,რატომაც ამ კონკურსში მივიღეთ მონაწილეობა,დაფუძნებულია პირად სიმპატიებთან,რომელიც ამ რეგიონის მიმართ გაგვაჩნია. შეუძლებელია, არ გიყვარდეს ან არ გსიამოვნებდეს ლანდშაპტის ასეთი სილამაზე,არ ეთაყვანებოდე იმ კულტურასა და ისტორიას,რომელიც ამ მხარეს ახასიათებს,არ აღფრთოვანდე იმ ფოლკლორული,მემკვიდრეობითი ღირსშესანიშნაობებით,რომლებითაც სავსეა რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთი. მაშინ როცა საკუთარი გენეტიკური საწყისები და ცნობიერება ახალგაზრდობიდანვე ამ მხარესთან გადაჯაჭვულია და მუდმივად ცდილობ,ამ რეგიონის მიმართ სულიერი ჰარმონია წარმოაჩინო,ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ემოცია ასმაგდება.ამ ლოგოს ავტორებმა:გიორგი ჩანქსელიანმა და მარიამ მუშკუდიანმა შევეცადეთ,რომ მთელი ჩვენი ემოციური კავშირი ამ რეგიონის მიმართ მაქსიმალურად წარმოგვეჩინა.

### შესავალი

ლოგოს შექმნის პროცესი საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა, ვინაიდან ჩვენ მუშაობა მოგვიწია სხვადასხვა წყაროებთან, ფოტო და ვიდეო მასალებთან. მთავარი სირთულე ლოგოს შექმნის პროცესში იყო ის, რომ ეს რეგიონი წარმოადგენს სამი მხარის ერთობლიობას და შესაბამისად არსებობდა საჭიროება იმისა, რომ მოგვეძებნა საერთო ნიშა, რომელიც ლოგოს სიმბოლიკის ამომავალი წერტილი იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხარეებს შორის ბევრი კულტურული მსგავსებაა, მაინც საჭირო გახდა დამატებითი წყაროების ძიება, მოკვლევა და საბოლოო ვერსიაზე ორიენტირება. ვინაიდან ეს რეგიონი დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა ლოგოს საბოლოო სახის მიღებმდე ჩვენ რამდენიმე ვარიანტი გვქონდა, რომელიც ვფიქრობთ, რომ ამ ლოგოს დიახანის გზამკვლევის მკითხველს აუცილებლად უნდა გავაცნოთ. ყველა მათგანს ჰქონდა თავისი სიმბოლური დატვირთვა და მნიშვნელობა. (იხილეთ დანართი 1,2,3)

ქვემოთ წარმოდგენილი ვარიანტები მეტ-ნაკლებად ვერ აკმაყოფილებდნენ ლოგოს შექმნის მიზანს, ყოფილიყვნენ ხარისხის, გარემოსდაცვითი კეთილგანწყობის და პროდუქტის/სერვისის ან ღონისძიების უნიკალურობის შენარჩუნების გარანტია და ბრენდისადმი მისი კუთვნილების მკაფიო გამოხატულება. ლოგოს მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო-ადგილობრივი პროდუქციის, სერვისების და გამოცდილების მარკირება ხელი უნდა შეეწყო რეგიონის პროფილის ამაღლებას, ხარისხიანი ადგილობრივი პროდუქციის საშუალებით და გაეზარდა მის ტურისტულ მიზიდველობა. დიდი ხნის ფიქრისა და უამრავი ვარიანტის ქონის მიუხედავად, მარკეტინგის სპეციალისტებისა და პროგრამაში ჩართული ადამიანების დახმარებით საბოლოო ვერსიაზე შევჯერდით. ჩვენი აზრით, არჩეული ლოგო აერთიანებს და ნათლად გამოხატავს ამ რეგიონის მთავარ ფუნდამენტულ მახასიათებლებს.






**ლოგოს მნიშვნელობა**

რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთზე საუბრისას შეუძლებელია ადამიანის გონებაში არ ამოუტივტივდეს ამ მხარის დამახასიათებელი რელიეფი: მთა, მდინარეები, წიწვოვანი ტყეები და ა.შ. თუმცა, კარგად თუ დავფიქრდებით მივხვდებით, რომ საქართველოს კუთხეების უმრავლესობას მსგავსი რელიეფური მახასიათებლები აქვს. შესაბამისად ჩვენს გუნდს მოეთხოვებოდა რაიმე განსხვავებული დეტალის მოძებნა და ამის საფუძველზე ლოგოს შექმნა. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საერთო მახასიათებლად მზის სიმბოლიკა ავარჩიეთ. შთაგონების წყარო იყო ლეჩხუმსა და რაჭაში ხის სახლებზე გამოსახული მზის ორნამენტები, ასევე მახვშის სკამზე ამოტვიფრული „ლილეს“ (სვანური მზის) და ბორჯღალის ჩუქურთმები. ვიზუალური თვალსაზრისით ჩვენი ლოგოს შთაგონება სწორედ ამ გამოსახულებებისგან მოდის. ლოგო წარმოადგენს რამდენიმე სახის მზის გამოსახულების გაერთიანებას. ის შედგება სამი ნაწილისგან:


1. ბაზისული მზის დისკო
2. ალის ფორმის სხვიებიანი მზე
3. ბორჯღალი



ბორჯღალი



მზე



დისკო



ავარჩიეთ. შთაგონების წყარო იყო ლეჩხუმსა და რაჭაში ხის სახლებზე გამოსახული მზის ორნამენტები, ასევე მახვშის სკამზე ამოტვიფრული „ლილეს“ (სვანური მზის) და ბორჯღაღალის ჩუქურთმები. ვიზუალური თვალსაზრისით ჩვენი ლოგოს შთაგონება სწორედ ამ გამოსახულებებისგან მოდის



წყარო: ონის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი/Oni Tourist Information Center

მახვშის საკარცხული ბაჩო ლიპარტელიამილენტეხის რაიონი.

ხის სახლის ორნამენტების ფრაგმენტები ზემო ლუხვანოდან (ლეჩხუმი) თამარ ლეთოდინის ფოტო.

**ლოგოს შინაარსობრივი მნიშვნელობის რაკურსი მას უფრო საინტერესოს და მიმზიდველს ხდის:**

მზე დიდი ძალის, ენერჯის, სითბოს, სილამაზის და აყვავების სიმბოლოა. ამიტომაც ვიფიქრეთ, რომ ყველაზე ლოგიკური, თავსებადი ლოგოს დიზაინისთვის სწორედ მზის სიმბოლიკისა და ფერების გარკვეული გრადაცია იქნებოდა. ამ სიმბოლიკას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყველასათვის კარგად ცნობილი, სვანური მზის საგალობელი „ლილე“. რომელსაც ქვემო სვანეთში დღესაც ხშირად მღერავენ. სვანეთს კი „ლილეს მხარეს“ უწოდებენ.

„ო ლილეო, ისგვამი დიდაბიო რილგვაია,  
შილედა ვოიდივო ლილეო,  
შიდივოი ლილედა ოქურაში,  
სამკალიო დილგვაია,

შილედა ვოიდივო ლილაო.“ (სვანური „ლილე“)

ლოგოს შუაგულში გამოსახულია ბორჯღაღალი. ის საქართველოს ტერიტორიაზე ოდითგანვე წმინდა ჩუქურთმად ითვლებოდა და ერთ-ერთი ყველაზე საკრალური ლოგოგრამა იყო. ბორჯღაღალი თავისუფლებისა და მარადისობის სიმბოლოდ ითვლება, სწორედ ამ სიმბოლური მახასიათებლითაა ის წარმოჩენილი ჩვენს ლოგოშიც. ფორმა წრიულია, რაც მიანიშნებს თანადგომისა და საერთო კულტურის ზიარების უსასრულო კავშირზე. ლოგოს სამივე კომპონენტის ერთობა საბოლოო ჯამში ქმნის სამივე მხარის გადაჯაჭვულობის სიმბოლოს. ეს არის მზე, რომელიც მარავლფეროვნად და სიცოცხლისფერად ანათებს. სწორედ ამგვარი პოზიტიური შინაარსობრივი რაკურსიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ ლოგოს შექმნის მიზანს, ყოფილიყვნენ ხარისხის, გარემოსდაცვითი კეთილგანწყობის და პროდუქტის/სერვისის ან ღონისძიების უნიკალურობის შენარჩუნების გარანტია და ბრენდისადმი მისი კუთვნილების მკაფიო გამოხატულება. ლოგოს მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო-ადგილობრივი პროდუქციის, სერვისების და გამოცდილების მარკირება ხელი უნდა შეეწყო რეგიონის პროფილის ამაღლებას, ხარისხიანი ადგილობრივი პროდუქციის საშუალებით და გაეზარდა მის ტურისტულ მიმზიდველობა.


ბრენდის ლოგოტიპი დატანილი უნდა იყოს ბრენდირებული პროდუქტის თითოეულ ეტიკეტსა და მომსახურების მიწოდების საინფორმაციო გზავნილებში. გამოყენებული უნდა იყოს ბიზნეს-კომუნიკაციის, სარეკლამო მასალების, ვებ-გვერდებისა და სოციალური მედიის ნებისმიერი ფორმის დროს. ლოგოტიპი უნდა ახლდეს საკუთრივ ბიზნესის ლოგოტიპს ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ლოგო/სამარკო ნიშანი არის ძირითადი ვიზუალური ელემენტი და გამოიყენება პროექტთან დაკავშირებული ყველა აღნიშვნისთვის. ლოგოსა და მისი ვარიანტების გამოყენება ზუსტად არის განსაზღვრული და ემორჩილება წესებს, რომლებიც ამ სახელმძღვანელოშია განსაზღვრული. ლოგოს არარეგულარული ფორმის გამო, მისი მიღება შესაძლებელია მხოლოდ ორიგინალური ელექტრონული წყაროდან და ბრენდის კოორდინატორისგან.



**ჩვენი რეკომენდაციაა** ეტიკეტებისთვის გამოიყენეთ ბრენდის ლოგოს ორგინალი ფერადი ან რუხი, რაც თავის მხრივ არ კრძალავს თქვენი საკუთარი ლოგოს გამოყენებას. კომბინირებულად ლოგოს გამოყენება მიზანშეწონილია იმ შემთხვევაშიც, თუ მეწარმე ახორცილებს საკუთარი სარეკლამო მასალების დამზადებას, აქვს საკუთარი ვებ და სოციალური ქსელების გვერდები, ამზადებს პროდუქტის ანოტაციებს და ა.შ. აგრეთვე თუ იგი დამოუკიდებლად მონაწილეობს სხვადასხვა საზოგადოებრივ ღონისძიებებში.







უსაფრთხო ზონის სიგანე  
შეესაბამება X ველის სიგანეს.  
2 მმ




დაუშვებელია ლოგოდან სხვა  
ობიექტამდე დაშორება, გარდა  
X-ისა.



მინიმალური ზომა  
(სიმაღლე 20 მმ)

	CMYK	RGB	PANTONE
1 	0-54-100-0	254-141-0	144C/U 100%
2 	36-55-100-20	146-103-1	146C/U 100%
3			



	CMYK	RGB	PANTONE
1 	68-66-64-70	38-35-36	BlackC/U100%
2 	65-64-60-55	58-52-53	Black7C/U100%
3 	62-61-57-41	76-69-70	Black 438 C/U100%



პოზიტიური შავ-რუხი ფერი

CMYK

1. 68-66-64-70;
2. 65-64-60-55;
3. 62-61-57-41;
4. 58-58-52-27;
5. 46-48-41-7



პოზიტიური შავი

ფერი

CMYK

74-67-67-90

ძირითადი ორგინალი ნიშანი ყველაზე ხშირად გვხვდება ღია ფონზე, ფერადი ფონის მაქსიმალური ინტენსივობით 20% (CMYK რეგისტრაციისას ფერადი ფონის ინტენსივობა მოცემულია ცალკეული ფერადი არხების% ჯამით). თუ სუბსტრატის ინტენსივობა 20%-ზე მეტია, გამოიყენეთ თეთრი ფარი, როგორც სუბსტრატი ნიშნის ქვეშ (იხ. ლოგო /ფარი).

დადებითი რუხი-შავი ნიშანი შეიძლება განთავსდეს ნაცრისფერ ფონზე მაქსიმალური ინტენსივობით 15%.

ფონის მაქსიმალური ინტენსივობის გადამოწმების მაგალითი CMYK 10-0-10-0 ლოგოს ქვეშ  
 $10\% + 10\% = 20\%$



ფონის მაქსიმალური ინტენსივობის გადამოწმების მაგალითი CMYK 15-0-0-5 ლოგოს ქვეშ  
 $15\% + 5\% = 20\%$

ფონის მაქსიმალური ინტენსივობის გადამოწმების მაგალითი CMYK 0-0-0-20 ლოგოს ქვეშ  
 $0\% + 0\% + 0\% + 20\% = 20\%$

ფონის მაქსიმალური ინტენსივობის გადამოწმების მაგალითი CMYK 7-2-0-11 ლოგოს ქვეშ  
 $7\% + 2\% + 11\% = 20\%$



ნაცრისფერი ფონის მაქსიმალური ინტენსივობის გადამოწმების მაგალითი რუხი-შავი ლოგოს ქვეშ: CMYK 0-0-0-15  
 $0\% + 0\% + 0\% + 15\% = 15\%$

სამარჯო ნიშნის/ლოგოს ნეგატიური თეთრი ვარიანტი გამოიყენება მდიდარ, მუქ მონოქრომულ ან ძალიან მუქ უხემ სუბსტრატებზე. ფონს აქვს მინიმალური ინტენსივობა 150% (CMYK რეგისტრაციისას ფერადი ფონის ინტენსივობა მოცემულია ცალკეული ფერადი არხების% ჯამით). ნაცრისფერი ფონის ინტენსივობაში შავი უნდა იყოს 50%-ზე მეტი.

დადებითი შავი ვარიანტი შეიძლება განთავსდეს ფერად ფონზე მაქსიმალური ფერის ინტენსივობით 60%. ნაცრისფერი ფონის ინტენსივობაში შავი უნდა იყოს მაქსიმუმ 50%.

ლოგოს ქვემ ფონის მაქსიმალური ინტენსივობის გადამოწმების მაგალითი CMYK 30-0-30-0  
30%+30%=60%

ლოგოს ქვემ ნაცრისფერი ფონის მაქსიმალური ინტენსივობის გადამოწმების მაგალითი  
CMYK 0-0-0-50  
0%+0%+0%+50%=50%



ლოგოს ქვემ ფონის მაქსიმალური ინტენსივობის გადამოწმების მაგალითი CMYK40-0-0-20  
40%+20%=60%

უხეში ფონის მაქსიმალური ინტენსივობის გადამოწმების მაგალითი: ყველაზე ბნელი წერტილი CMYK30-20-0-10  
30%+20%+10%=60%



შეცდომების ნიმუშები ვრცელდება ლოგოს ყველა ფორმისა და ფერის ვარიანტზე. დაიცავით ლოგოს გამოყენების წესები, რომლებიც აღწერილია ამ სახელმძღვანელოში და გამოიყენეთ მხოლოდ სამარკო ნიშნის ორიგინალური წყარო.




დაუშვებელია როტაცია!



დაუშვებელია ერთტონიანი ფერი!



დაუშვებელია დეფორმაცია!



დაუშვებელია კონტურის გამოყენება!



დაუშვებელია ლოგოს მხოლოდ ნაწილების გამოყენება!



დაუშვებელია გრაფიკული ეფექტების გამოყენება!



აკრძალულია ბრენდირებულ პროდუქტზე/მომსახურებაზე ლოგოს გამოყენებლობა!!!



დაუშვებელია ფონის ინტენსივობის დარღვევა!




დაუშვებელია უსაფრთხო ზონის მოთხოვნების დარღვევა



საბაზისო ფარი ხაზს უსვამს ლოგოს და ამავე დროს ქმნის მის დამცავ ზონას. ფარის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ამ განყოფილებაში მითითებულ შემთხვევებში. გამოიყენეთ ფარი ფერად ფონზე, სადაც ნიშანი ჩახშობილია. ფარი ყოველთვის უნდა იწყებოდეს ზედაპირის კიდიდან (იხილეთ მაგალითები), მისი გამოყენება არ შეიძლება კუთხეში. ფარის ფერი ყოველთვის თეთრია კონტურის გარეშე.

ფარის გამოყენების მაგალითი უხეშ ფონზე, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ინტესიობის მოთხოვნების




ფარის გამოყენების მაგალითი ერთფერიან, მაღალი ინტესიობის ფონზე,





წყლის ნიშანი არის დამატებითი გრაფიკული ელემენტი, რომელიც გამოიყენება სარეკლამო მასალებზე არასტრუქტურირებული ტერიტორიების შესავსებად და მისი ცალკე გამოყენება შეუძლებელია. განსხვავებით იმ სიმბოლოებიდან, რომელთაც აქვთ ფერებით შევსებული ობიექტები, წყლის ნიშანს აქვს ფერებით შევსებული მონახაზი. ლოგოს ცალკეული სიმბოლო არ შეიძლება გამოყენებულ იქნას წყლის ნიშნად. ფორმის სირთულიდან გამომდინარე, აუცილებელია წყლის ნიშნის წყაროს მონაცემების გამოყენება. წყლის ნიშნის გადაფარვა შესაძლებელია სხვა გრაფიკული ელემენტებით ან შეიძლება გამოყენებულ იქნას მისი ამოჭრა სახელმძღვანელოს მითითებების შესაბამისად. შეუძლებელია მთლიანი ან მისი ცალკეული ნაწილების შეცვლა, ამოღება ან სხვაგვარად ჩარევა.

გამოიყენეთ წყლის ნიშანი კახეთის რეგიონული ბრენდის - „შეიგრძენი კახეთი“ სამარკო ნიშნის გრაფიკული სახელმძღვანელოს შესაბამისად.




კონტურის მინიმალური სიგანე 5 მმ



წყლის ნიშნის ჩვენება შესაძლებელია მხოლოდ მთლიანობაში, შერჩეული არაავტორიზებული მოჭრის ვარიანტების ნიმუშები არ აჩვენებს ყველა დაუშვებელ ვარიაციას, რომელიც შეიძლება მოხდეს.


ამოჭრის დაუშვებელი ვარიანტების მაგალითები






წყლის ნიშნის გამოყენება შესაძლებელია განსაზღვრულ ფერებში, რომლებიც განსაზღვრულია სახელმძღვანელოში წყლის ნიშნის ფერების განყოფილებაში. წყლის ნიშნის ფერი ჩვეულებრივ უფრო მუქია, ვიდრე ფონის ფერი. მაგალითები აჩვენებს ფერის კოდებს. წყლის ნიშნის და ფონის ფერების არჩევისას აირჩიეთ მიმდებარე ფერები და არა ფერების კომბინაცია(მაგ. A1 და A2)

ნაცრისფერი (10% შავი) წყლის ნიშანი თეთრ ფონზე




რემისფერი (C1) წყლის ნიშანი ღია კრემისფერ ფონზე (C)



მწვანე (B2) წყლის ნიშანი ღია მწვანე (B) ფონზე



მუქი წითელი (A2) წყლის ნიშანი წითელ (A) ფონზე



ლურჯი (A1) წყლის ნიშანი მუქი ლურჯი (A2) ფონზე



შერჩეული შრიფტი ასევე წარმოადგენს ვიზუალური სტილის ძირითადი ელემენტს. ლოგოს ორგინალ ვერსიაში სავალდებულოა ქართული და ინგლისური წარწერების გამოყენება. ლოგოს ორგანიალი ვერსიის ქართულენოვანი წარწერისთვის, ქართული ფონტებიდან "datebashvili" 77pt. ხოლო ინგლისურენოვანი წარწერისთვის - "somerton dense" 103pt. ლოგოს ძირითადი ელემენტებისა და ლოგოს ძირითადი ელემენტებისა და ფონტის სიმაღლის თანაფრადობა უნდა იყოს 25/45 მმ.(ფონტის შემომსაზღვრელი რკალის სიმაღლე ყანწის პირის სიგანესთან მიმართებაში). ორივე ფონტი ხელმისაწვდომია და გამოიყენება საოფისე აპლიკაციებში.

“Geo Naniko”

ანგჰდენქსდას-

“Garamond”

GBN MKUKHJR

დამატებითი შრიფტი შეიძლება გამოყენებულ იქნას დიდი ტექსტებისთვის, ფართო მასშაბიანი სარეკლამო მასალებისთვის, ასევე საოფისე ან ელექტრონული აპლიკაციებისთვის, ან სადაც ძირითადი შრიფტი არ არის ხელმისაწვდომი. შესაფერისი დამატებითი ქართული და ინგლისური ფონტია BPG Phone Sans Bold.. ფონტების ზომა დამოკიდებულია ლოგოს ზომაზე და დაცული უნდა იყოს დადგენილი თანაფარდობა - 25/45 მმ.(ფონტის შემომსაზღვრელი რკალის სიმაღლე ყანწის პირის სიგანესთან მიმართებაში).

BPG Phone Sans Bold.



ანგჰლენქსდეს- “Geo Naniko”

GBNMKUKHJR-“Garamond”  
fhdkjksk1234

შტამპის გამოიყენება პროდუქტების, შეფუთვის ან პროდუქტთან დაკავშირებული სხვა ნაწილების იდენტიფიცირებისთვის. უნდა იქნას გამოყენებული ლოგოს პოზიტიური შავი ვერსია. შტამპის ფერი მხოლოდ შავია. ფონის ფერი უნდა იყოს უფრო ღია ვიდრე შავი შტამპის (იხ. ბრენდი/ფერები/ ფერადი ფონი - გვერდი 9, სექცია ლოგო პოზიტიური შავი ვარიანტი). ფარზე შტამპის ნიშნის ხელახალი დაბეჭდვა დაუშვებელია.

შტამპის ზომები შეიძლება განსხვავდებოდეს, მაგრამ ნიშანი არ უნდა იყოს 20 მმ-ზე ნაკლები სიმალით. შტამპის ყველა ნაწილი უნდა იყოს მკაფიო, ცნობადი და ტექსტი იკითხებოდეს მკაფიოდ.

შტამპის დასაშვები ნიმუშები



შეუსაბამო შტამპის ნიმუშები




**რეკომენდაცია:**  
უკეთესი ბეჭდვის მისაღწევად, მიზანშეწონილია გამოიყენოთ კლასიკური ცალმხრივი შტამპი ცალკე საფენით. ეს აადვილებს თუნდაც ოდნავ მომრგვალებული ზედაპირების დაბეჭდვას



სავიზიტო ბარათზე ლოგოს გამოყენება ადაპტირებულია თავად სავიზიტო ბარათის შემადგენლობასთან და ლოგოს გამოყენების ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით.

სავიზიტო ბარათებზე სმარკო ნიშნის მინიმალური ზომაა 15 მმ სიმაღლეზე. თუ გამოიყენება ფარი (იხილეთ ბრენდის აპლიკაცია / ფარი), მისი მინიმალური ზომაა 18 x 20.5 მმ.

ლოგოს განთავსების მაგალითები  
სავიზიტო ბარათებზე





## LOGO



[Sidebars are great for calling out important points from your text or adding additional info for quick reference, such as a schedule.

They are typically placed on the left, right, top or bottom of the page. But you can easily drag them to any position you prefer.

When you're ready to add your content, just click here and start typing.

ნებადართულია ბრენის ლოგოს გამოყენება მეწარმის პერსონალურ ბლანკზე, იმგვარად რომ ის მოერგოს თქვენი ბლანკის კომპოზიციას და ითვალისწინებდეს სახელმძღვანელო პრინციპებს. სამარკო ნიშნის დადება ბლანკზე შესაძლებელია ყველა კუთხეში.

ბლანკზე სამარკო ნიშნის მინიმალური ზომაა 20 მმ სიმაღლეზე. თუ გამოიყენება ფარი (იხილეთ ბრენდის აპლიკაცია / ფარი), მისი მინიმალური ზომაა 18 x 20.5 მმ.

ბლანკზე ბრენდის ლოგოს განთავსების მაგალითები

## LOGO

[Grab your reader's attention with a great quote from the document or use this space to emphasize a key point. To place this text box anywhere on the page, just drag it.]

## [Sidebar Title]

[Sidebars are great for calling out important points from your text or adding additional info for quick reference, such as a schedule.

They are typically placed on the left, right, top or bottom of the page. But you can easily drag them to any position you prefer.

When you're ready to add your content, just click here and start typing.]



რეკომენდებული ფორმატი ოფლაინ / ბეჭდვთვის - pdf.

რეკომენდებული ფორმატი ინტერნეტში გამოსაყენებლად - jpeg ან png, თუ გამოიყენება გამჭვირვალე ფორმატი.

### **PNG (300 resolution)**



მინიმალური გადაწყვეტა ლოგოსთვის:  
300 dpi - ორიგინალური პროდუქტისთვის/ბეჭდვითი  
მასალებისთვის;  
72 dpi - ონლაინ რეკლამებისთვის  
(მაგალითად, ვებ გვერდები, ელექტრონული საინფორმაციო  
ბიულეტენები კატალოგი, FB და ა.შ.)


ბეჭდვისთვის 300 dpi (PNG)



ონლაინ გვერდებისთვის 72 dpi (JPG)



ბრენდის ლოგოს განთავსება სავალდებულოა ნებისმიერ ობიექტზე სადაც მიმდინარეობს რაიმე ღონისძიება, რომლის მონაწილეც არის ბრენდი ან მისი წევრი (საკონფერენციო ბანერი, სპეციალური დაფა აუდიტორიებსა და ღია სივრცეებისთვის სპეციალურ გამოფენებსა და ფეტივალებზე) სტენდ(ებ)ის წინ. ლოგოს ზომა უნდა იყოს თქვენი ფირფიტის ზომის პროპორციული, მაგრამ არანაკლებ 300 მმ სიმაღლისა.



ბრენდის ლოგოს განთავსება სავალდებულოა ნებისმიერ სახის სარეკლამო მასალაზე, მათ შორის ვიდეორგოლებზე, ბუკლეტებზე, კატალოგებზე, ფლაერებზე, საინფორმაციო გადაცემებში მონაწილეობისას, წარმომადგენლობითი შეხვედრების დროს (მონაწილის საინფორმაციო დაფაზე და სხვ.



- Visegrad Fund
- •

სახელმძღვანელო მომზადებულია ვიშგრადის ფონდის მიერ დაფინანსებული - „რეგიონული ბრენდირების გაფართოება გურიისა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონებში“ პროექტის ფარგლებში.

სახელმძღვანელოს შექმნაზე მუშაობდნენ:



სლოვაკეთის რეგიონული განვითარების სააგენტო სენეჩ-პეზინოკი  
ოფიციალური ვებ-გვერდი  
<http://www.rrasenec-pezinok.sk>



ჩეხეთის რეგიონალური ბრენდების ასოციაცია  
ოფიციალური ვებ-გვერდი  
[www.regionalni-vyrobky.cz](http://www.regionalni-vyrobky.cz)



კარპატიის ევრორეგიონის ასოციაცია  
ოფიციალური ვებ-გვერდი  
<https://www.karpacki.pl/>



სლოვაკეთი-საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა  
ოფიციალური ვებ-გვერდი  
<http://sg-chamber.com>



ლოგოს დიზაინერები:  
მარიამ მუშკუდიანი  
გიორგი ჩანქსელიანი  
E-mail: [Mariammushkudiani99@gmail.com](mailto:Mariammushkudiani99@gmail.com)  
[Giorgichancheliani27@gmail.com](mailto:Giorgichancheliani27@gmail.com)

2023

თბილისი